

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2016 წლის იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 366,8 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.03.43.003.) გარდა 14 კვ.მ ფართი N1-ის, 5,1 კვ.მ ფართი N2-ის და 31,1 კვ.მ ფართი N 3-ისა (საერთო ფართი 50,2 კვ.მ) მასზედ წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად) სარგებლობის უფლებით -უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება N

ქ.ლანჩხუთი

----- 2016 წელი

ერთი მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „უზუფრუქტის გამცემი“) წარმოდგენილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ზაზა ურუშაძის სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო- საადმინისტრაციო ცენტრი“ (შემდგომში „უზუფრუქტუარი“) წარმოდგენილი ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო- საადმინისტრაციო ცენტრი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დავით წულაძის სახით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო ცენტრი“-სათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის ----- N -- განკარგულებისა და „ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო ცენტრი“-სათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ----- N -- ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1 „უზუფრუქტის გამცემი“ გადასცემს, ხოლო „უზუფრუქტუარი“ იღებს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 366,8 კვ.მ შენობა-ნაგებობას (ს/კ 27.03.43.003.) გარდა 14 კვ.მ ფართი N1-ის, 5,1 კვ.მ ფართი N2-ის და 31,1 კვ.მ ფართი N 3-ისა (საერთო ფართი 50,2 კვ.მ) მასზედ წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად.

1.2 ხელშეკრულებას თან ერთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქონების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების პირობები.

„უზუფრუქტუარი“ ვალდებულია, უზუფრუქტის ფორმით აღებული ადგილობრივი თვითმმართველობის ქონება გამოიყენოს ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო- საადმინისტრაციო ცენტრის“ დებულებით განსაზღვრული მიზნებისათვის.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

3.1. „უზუფრუქტუარი“ ვალდებულია, უზუფრუქტის ფორმით აღებული ადგილობრივი თვითმართველობის ქონება გამოიყენოს თავისი დებულებით განსაზღვრული მიზნებისათვის.

3.2. „უზუფრუქტუარი“ პასუხს არ აგებს ქონების ნორმალური ცვეთისათვის, იგი ვალდებულია გადაიხადოს კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები.

3.3. „უზუფრუქტუარს“ არ აქვს უფლება გადაცემული ქონების, ან მისი ნაწილის გასხვისების, დაგირავების ან მემკვიდრეობით გადაცემის.

3.4. „უზუფრუქტუარის“ მიერ ქონების იჯარით გაცემის შემთხვევაში საჭიროა „უზუფრუქტის გამცემის“ თანხმობა.

3.5. „უზუფრუქტის გამცემს“ უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

3.6. „უზუფრუქტუარს“ შეუძლია „უზუფრუქტის გამცემთან“ შეთანხმებით საკუთარი სახსრებით აწარმოოს ობიექტის კაპიტალური რემონტი.

3.7. „უზუფრუქტუარი“ ვალდებულია:

ა) ქონება გამოიყენოს თავისი დებულებით განსაზღვრული მიზნებისათვის.

ბ) იზრუნოს ქონების ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის.

გ) დაუყონებლივ აცნობოს „უზუფრუქტის გამცემს“ თუ ქონება დაზიანდა, განადგურდა ან მის შესანახად წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

დ) ქონების სარგებლობისას დაიცვას: ეკოლოგიური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნიკური უსაფრთხოების წესები.

ე) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები.

3.8. „უზუფრუქტის გამცემი“ ვალდებულია გადასცეს ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა (გაუქმება)

4.1. ხელშეკრულება ძალაშია ქონების არსებობის ვადით.

4.2. უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე, „უზუფრუქტუარის“ მიერ ხელშეკრულების პირობების სისტემატიური ან მნიშვნელოვანი დარღვევისას;

ბ) ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

4.3. უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება თუ ქონება განადგურდა „უზუფრუქტუარისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო და აღარ გამოდგება გამოსაყენებლად.

5. დაუძლეველი ძალა.

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისიგან, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ისინი გამოწვეულია მხარეებისაგან დამოუკიდებელი, გადაულახავი ძალის შედეგად.

6. დავები.

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავის და უთანხმოების გადაწყვეტა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

„უზუფრუქტის გამცემი“

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

ზაზა ურუშაძე

„უზუფრუქტუარი“

ა(ა)იპ სკოლამდელი-სააღმზრდელო ცენტრი“-ს

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დავით წულაძე



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 31
11/01/2016

31-09-2-201601111414



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგეხსენებათ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ აკეთში მდებარე ადმინისტრაციული შენობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 27.03.43.003.) გარემონტდა და შენობის ნაწილში მოეწყო საბავშვო ბაღი. მიზანშეწონილია, ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრთან“ გაფორმდეს ხელშეკრულება და საბავშვო ბაღისათვის გამოყოფილი ფართი გადაეცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად.

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის,

უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.


3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ამავე სამსახურის უფროსის, გიორგი ფაცურიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

ზაზა ურუშაძე



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ ზაზა ურუშაძეს

მ თ ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ზაზა,

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ აკეთში მდებარე ადმინისტრაციული შენობა, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 27.03.43.003.) გარემონტდა და მოეწყო საბავშვო ბაღი ლანჩხუთის ბიუჯეტის სახსრებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭიროა ა(ა)იპ „ლანჩხუთის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრთან“ გაფორმდეს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება (უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების პროექტი თან ახლავს).

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსხურს სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი 3 ფურცლად.

პატივისცემით,

გიორგი ფაცურია

სამსახურის უფროსი

ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური